

# ალოიზ იოსების ძე მიზანდარი

## ბიოგრაფია

ალოიზ იოსების ძე მიზანდარი (1837-1912) - საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი ქართველი პიანისტი-ვირტუოზი, კომპოზიტორი, პირველი დაბეჭდილი ნაწარმოების ავტორი (რომანსი "ჩვენ დავშორდით", 1863 წ. გამოიცა პეტერბურგში), საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელი, პირველი სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, რუსეთის საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების საპატიო წევრი, დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

1874 წ. ა. მიზანდარმა, ხ. სავანელმა და კ. ალიხანოვმა თბილისში დააარსეს სამუსიკო სკოლა, რომელიც 1886 წელს სამუსიკო სასწავლებლად, ხოლო 1917 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიად გადაკეთდა.

პეტერბურგში სწავლისას და ევროპაში გასტროლების დროს (პარიზი, ვენა 1865-1867) ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩაიკოვსკისთან, ა. რუბინშტაინთან, ბალაკირევთან, ლისტთან, როსინისთან, ბრამსთან, გუნოსთან, ვერდისთან, ობერთან, ვენიავსკისთან, მარმონტელთან, ჰერცთან, ტომასთან. გადმოცემის თანახმად, მიზანდარი და ლისტი ხშირად უკრავდნენ ორ როიალზე.

მიზანდარის საკონცერტო გამოსვლებს კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევდა: "იშვიათი მოხდენილობითა და გენიალური შესრულებით ბატონმა მიზანდარმა მსმენელები განაცვიფრა". (გაზეთები "დერ ვანდერერ"(1867), "დიე დებატე"(1867), "ფორდერბლატ"(1867) "ნოიევიენნერ თეატერ-ცაიტუნგ" (1867);

რაც შეეხება ა. მიზანდარის შემოქმედებას, მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშებია. დაკარგულია მრავალი ნაწარმოები, მათ შორის ოთხხმიანი მესები, რომლებიც თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში სრულდებოდა.

ა. მიზანდარის მოსწავლე იყო ქართული საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ანათულაშვილი, ასევე, ე. ი. პოლტორაცკაიდასხვ.

ა. მიზანდარი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

არქივში ინახება ალოიზ მიზანდარის ძმის შვილის, ცნობილი ქართველი დირიჟორის ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალა.

ვალერიან მიზანდარი დაიბადა 1894 წლის 21 აპრილს ქ. ქუთაისში. მამამისი ფელიქსი, ორგანისტი და პიანისტი, 1896 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. მან ბევრი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო, საფუძველი ჩაუყარა ქუთაისში მუსიკალური განათლების საქმეს. იგი იყო ქართული მუსიკალური კულტურის მამამთავრების დირიჟორ ივანე და კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილების მუსიკის პირველი მასწავლებელი.

1917 წელს ვალერიანმა დაიწყო მუშაობა კადეტთა კორპუსის პირველ და მეორე ცხენოსანთა პოლკში. აქ მან შეკრიბა 65 მუსიკოსი და შექმნა დიდი სამხედრო სასულიერო ორკესტრი, რომლის მსგავსიც თბილისში არ ყოფილა. 1918 წლიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მას სახალხო გვარდიის ორკესტრი ეწოდა.

ვალერიან მიზანდარმა დიდი როლი შეასრულა გამოჩენილი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის მომავალში. პრაქტიკულად მიქელაძემ პირველი ნაბიჯები, როგორც დირიჟორმა, ვალიკოს ხელმძღვანელობით გადადგა. ვალიკო ხშირად, თავისი თანდასწრებით მიქელაძეს აძლევდა საშუალებას ედირიჟორა ორკესტრისთვის. შემდეგ, როცა ვალიკო მის მუსიკალურ ტალანტში დარწმუნდა, ე. მიქელაძეს დამოუკიდებელი დირიჟორობის საშუალებასაც აძლევდა.

1919-22 წწ. ვალერიან მიზანდარი ოპერის თეატრში მოღვაწეობდა. სამწუხაროდ მას თვალთ დააკლდა და 1922 წელს სრულიად დაბრმავდა, მაგრამ 3 წლის განმავლობაში უსინათლოდ უძღვებოდა სამხედრო ორკესტრსა და ოპერაში სპექტაკლებს. ბრმა დირიჟორი უხემ შენიშვნებს აძლევდა ოპერის ორკესტრანტებს, ზოგი შედიოდა მის მდგომარეობაში, ეცოდებოდა ახალგაზრდა ხელოვანი, ნაწილს აღარ უნდოდა ის დირიჟორად, ამიტომ ობსტრუქცია მოუწყვეს. რის შემდეგაც იგი ლოგინად ჩავარდა და 1926 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე (ძველი პანთეონის ტერიტორიაზე).

**ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

1. ალოიზ მიზანდარის, ხარლამპ სავანელისა და კონსტანტინე ალიხანოვის განცხადება სამუსიკო სკოლის გახსნის შესახებ.  
პირი: ქ-ნი ჟაბა.  
1874 წ. 1 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 გვ.
2. აზნაურების- ა. მიზანდარისა და ბ. სავანელის თხოვნა თბილისის გენერალ-გუბერნატორის კ. ი. ორლოვსკისადმი, სამუსიკო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით.  
(მასალას ერთვის ნაბეჭდი ვერსია. დამოწმებულია კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ბეჭდით).  
1874 წ. თბილისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ. (ასლი 2 გვ).
3. აზნაურების - მიზანდარისა და სავანელის განცხადება სენატორ პ. კლუშინისადმი, სამუსიკო სკოლის მდგომარეობის შესახებ.  
(მასალას ერთვის ნაბეჭდი ვერსია. დამოწმებულია კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ბეჭდით)  
პირი: გენერალ-მაიორი დ. ს. სტაროსელსკი.  
1876 წ. 12 ოქტომბერი. თბილისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე, 4 გვ. (ასლი 3 გვ),
4. თბილისის სამუსიკო სკოლასთან არსებული, “მუსიკისმოყვარულთა წრის“ მიერ დადგენილი მოკლე წესები.  
(მასალას ერთვის ნაბეჭდი ვერსია. დამოწმებულია კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ბეჭდით).  
1881 წ. 1 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე, 4 გვ. (ასლი 2 გვ).
5. რუსეთის სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილების მიერ გაცემული სიგელი ალოიზ მიზანდარის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.  
1891 წ. 12 ივნისი ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე, 1 გვ.
6. მოსწავლეთა მისალოცი ადრესი ალოიზ მიზანდარის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით  
1912 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე, ხელს აწერენ:  
ტ. ნ. კალაშნიკოვა, გ. მ. ერისთოვა-თამანშევა (ერისთავი), ო. მ [პ]-ბერგი, ო. კამინსკაია-მარტინოვა, ი. სტახოვსკი, ე. ვ. გარსევანოვა, ნ. კალაშნიკოვი, მ. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ანა თულაევა (თულაშვილი), ნ. ასლამაზოვა (ასლამაზიშვილი), ს. სტეფანოვა-ჩუბარევა, ს. ე. ფსა-როვა-მირზოევა, ა. აკოფოვი, ა. ა მანთაშევა-ყორდანოვა, ნ. ელიაზაროვი, ი. ელიაზაროვი. ე. ტერ-ასატუროვი, ვ. იუზბაშევი, ვ. ს. პონდაევა-მილოევა, ე. თამანშევი, თავ. ი. კ. თუმანოვა (თუმანიშვილი), ს. ი. პოლტორაცკაია, ე. ო. ტერ-ასატუროვა, მ. ნ. აკიმოვა, ი. ტარსაიძე, გ. ზუ-ბალოვა (ზუბალაშვილი), თავ. ნ. ა და ნ. ი. ბებუთოვები (ბებუთიშვილები), ნ. ა. ტიგრანოვა-მანთაშევა, ო. ი. შაჰნაზაროვა-თავ. მიქელაძე, ე. ი. საგინოვა-თავ. ერისთოვა (საგინაშვილი-ერისთავი), ნ. ა. ტიხონოვა-კანკრინა, ს. პ. ბროდსკაია-შიფერი, ნ. ა. პრიდონოვა-ტრახტენ-ბერგი, ა. გ. მაჩაბელი-ერისთოვა (ერისთავი), ა. ი. ჩიტაკოვა, ე. ი. პოლტორაცკაია, ე. ოგანეზო-ვა, მ. ნ. არუთუნოვა-ათაბეგოვა, ს. ვ. ართაროვა, [ბ. ე.] ტაბუროვა, ს. ირიცპუხოვა-სერებრია-კოვა, ტ. კუკუჯანოვა-ავეტისოვა, თავ. ხიმშიევა - თავ. ჩხოტუა (ხიმშიაშვილი-ჩხოტუა), ე. მე-ლიქბეგლაროვა-ტერიანი, თავ. თ. ერისთოვა-ბრაილოვსკაია (ერისთავი), თავ. ე. ერისთოვა-დომერსჩიკოვა (ერისთავი), ტ. მანთაშევა-ამბარდაროვა, ს. ტაიროვა, თავ. ე. მ. არლუთინსკა-ია-

დოლოგორუკოვა (არლუთაშვილი-მხარგრძელი), ნ. მირიმანოვა-ცურინოვა, ე. ველინოვა-ტონიევა, ე. ვართანოვა-მაკაროვა. 2 გვ.

7. საიმპერატორო რუსული სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილების სამუსიკო სასწავლებლის 1911-1912 წლების ანგარიში.

პირი: მ. მარტიროსიანი, პავლე მარკოს ძე დოლუხანოვი, ალოიზ იოსების ძე მიზანდარი, შევჩიკი, ბ. ლუცკი, კ. ა. მინიარი, ნ. დ. ნიკოლაევი, ზ. პ. ფალიევი (ფალიაშვილი), ა. ი. თულაევა (თულაშვილი), ტ. ი. ტერ-სტეფანოვა, ვ. რ. ვილშაუ, ფ. კ. კესნერი, ე. ნ. კოპელნიცკი, ო. ა. შულგინა, კ. ა. მინიარი.

1912 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 4 გვ.

8. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის კახა ცაბაძის განცხადება თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლაშა იმედაშვილისადმი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ალოიზ მიზანდარის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით..

2011 წ. 3 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. ბეჭედი. ასლი, 1 გვ.

9. ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლაშა იმედაშვილის პასუხი საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის კახა ცაბაძისადმი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ალოიზ მიზანდარის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

2011 წ. 31 აგვისტო, თბილისი, ნაბეჭდი, ხელმოწერილი, ბლანკიანი ფურცელი. ასლი, 1 გვ.

10. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის კახა ცაბაძის პასუხის პასუხი თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლაშა იმედაშვილისადმი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ალოიზ მიზანდარის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით..

2012 წ. 10 იანვარი, თბილისი, ბლანკი. ნაბეჭდი, ხელმოწერილი, ბეჭედი. ასლი, 1 გვ.

11. მუსიკალური სკოლის თანამშრომელთა სია

პირი: დირექტორები: იპოლიტოვ-ივანოვი, კლენოვსკი, ნიკოლაევი, ჩერეპნინი. დირექციის წევრები: სავანელი, ა. მიზანდარი, კ. მ. ალიხანოვი, ი. ი. პითოევი, ა. ი. ჩაიკოვსკი, იზ. ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), ა. ყორღანოვი, ტალიზინი, მ. ვ. ორბელიანი, ზუბალოვი (ზუბალაშვილი), პედაგოგები: კ. მ. ალიხანოვი, ავალოვი (ავალიშვილი), ი. ს. აისბერგი, ბეტინგი, ბებუთოვი (ბებუთიშვილი), ბროდგი, ბრაუერი, ვაინბერგი, ვ. რ. ვილშაუ, გ. გ. ვილსი, ა. კ. ვოლტერი, მ. ზ. გაბაევა (გაბაშვილი), ვ. ი. გერკე, ე. გიჯინი, კ. კ. ტორსკი, ბ.ს. გუზიკოვი, დერბეკი, გ.ს. დებერი, ელისეევა-ლოდინი, ზარუნაია, ზარანეკი, ა. ა. ზელენაია, ვ. ი. ზელენი, ზიკე, იპოლიტოვ-ივანოვი, კარპოვიჩი (კალაშნიკოვა), ფ. კ. კერპერი, კავალი, ყორღანოვი, კრამერი, კოლჩინი, ლონგო, ი. ა. ლევინი, ლემანი, ლ. ა. მადერი, ქ-ნი მაკარევიჩი, ი. მ. მატკოვსკი, კ. ა. მინიარი, ნეიჰაუზი, ნ. დ. ნიკოლაევი, ზ. პ. ფალიევი (ფალიაშვილი), ფ. ფ. პარიზიკი, ო. მ. პიკოვაროვა, ს. ა. ორაკოვა, რანგე, რუბინო, პ. ლ. რონცი, ი. ფ. სარაჯიევი (სარაჯიშვილი), სავანელი, სემიგალოვი, მ. ვ. სერბულოვი, სივერსი, ი. კ. სტახოვსკაია, ტერ-სტეფანოვა, მ. ბ. ტოიძანი, ლ. ი. ტორიანი, ტრუსკოვსკი, თულაევა (თულაშვილი), ტუორტო, მ. ი. უნტილოვა, ფედოტოვა, ფიშბერგი, მ. პ. შერშოვი, ა. ფ. შანშიევა, ი. ფ. შიფერი, შტრეიხერი, მ. ლ. შმუგლევსკი, ე. ო. ეშმტინი, დ. ა. უსატოვი, კ. ვ. ზარემბა, ზატლაუზი.

უთარილო, ხელნაწერი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

## შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

12. ალოიზ მიზანდარის რომანსი „ჩვენ დავშორდით“, ევგენი ბარიატინსკის ლექსზე. ხმისა და ფორტეპიანოსათვის.  
1863 წ. 23 იანვარი. სანკტ-პეტერბურგი. ნოტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 2 გვ.
13. ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესა "Fugitive Musings for my Friend" "წუთიერი ფიქრები ჩემი მეგობრისთვის".  
1867 წ. იანვარი, ვენა. ავტოგრაფი. ფანქარი. კალამი. 2 გვ.
14. ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესების ალბომი.  
"ორი პატარა ვალსი", ვალსი N1 ეძღვნება ქ-ნ ო. შ. პითოევას, ვალსი N2 "ივლისის დამე".  
თბილისი, ჩეტვერუხინის გამომცემლობა, დაიბეჭდა პეტერბურგში, ბესელის სტამბაში. 5 ფ.  
მაზურკა – "მოგონება აბასთუმანზე"  
ეძღვნება მის საიმპერატორო უდიდებულესობას დიდ თავად გიორგი ალექსანდრეს ძეს.  
დაწერილია 1892 წელს, აბასთუმანში, გამოიცა მოსკოვში, იურგენსონთან, თბილისელი გამომცემლის მირიმიანიანის დაკვეთით. 4 ფ.  
"მაზურკა-ფანტაზია" ეძღვნება მიხაილ გატოვსკის.  
დაწერილია 1880-იან წლებში, სტ. პეტერბურგი, ბესელის გამომცემლობა. 5 ფ.  
"ალეგრეტო" ფელიქს მენდელსონის სიმფონია-კანტატიდან.  
კლავირის ავტორი ა. მიზანდარი  
სტ. პეტერბურგი, ბესელის გამომცემლობა. 4 ფ.  
"აღმოსავლური მელოდია და ლეზგინკა".  
სავარაუდოდ დაწერილია 1867-70 წლებში. სტ. პეტერბურგი, ბესელის გამომცემლობა. 3 ფ.  
1892-1900 წწ. დასტამბული. ფრანგულ და რუსულ ენებზე. შინდისფერი ყდით. 37 გვ.  
(ინახება ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდში).
15. ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესა „ლეკური“ და  
„ალეგრეტო“ ფ. მენდელსონის მეორე სიმფონია-კანტატიდან, op. 52 ფორტეპიანოსთვის  
გადატანილი ალოიზ მიზანდარის მიერ.  
უთარილო, ავტოგრაფი, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ფანქარი, 6 გვ.

## პროგრამები, მომცრო ზომის აფიშები, მოსაწვევი ბარათი

16. თბილისის სამუსიკო სკოლის მეორე საკვარტეტო საღამოს აფიშა.  
პირი: ე. ი. ყორღანოვა, ნ. მ მიშჩენკო, სავანელი, მიზანდარი, ლანკო.  
1877 წ. 2 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.
17. თბილისის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა პირველი კონცერტის (შეკრების) პროგრამა  
პირი: ბაბაიანი - მაკაროვიჩის კლასიდან, ზუბალოვა - სტახოვსკის კლასიდან, ბერესნევიჩი -  
მაკაროვიჩის კლ, იაკუბოვსკი - რანგეს კლ, ვასილიევა - ალიხანოვის კლ, მ. შახმურადოვა -  
სივერსის კლ, ჰსაროვი - ალიხანოვის კლ, ტერ-გრიქუროვა - მიზანდარის კლ, ვ. შახმუდარო-ვა-  
სავანელის კლ, გაბაევა - ალიხანოვის კლ, ოდნოსუმოვა - ეპშტაინის კლ, დერბევი - მი-  
ზანდარის კლ.  
1879 წ. 28 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.
18. თბილისის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მესამე კონცერტის (შეკრების) პროგრამა.

პირი: მაღკიელი, ბეჟანბეგოვა, სუნდუკიანი - მაკაროვიჩის კლასიდან, ათაბეგოვა - ლემანის კლ, ვ. შახმურადოვა, მ. შახმურადოვა, ნევეტონოვა - სივერსის კლასიდან, მიხაილოვსკაია, პავლოვა - ეპშტაინის კლასიდან, ტერ-გრიქუროვა, დერბეკი, ჩიჩულინა - მიზანდარის კლასიდან. 1880 წ. 9 მარტი. ნაბეჟდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

19. ა. მიზანდარის დაბადებიდან 130 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს მოსაწვევი.

პირი: მ. ვაჩნაძე, ა. მიქაბერიძე, გ. ქავთარაძე, 1968 წ. 27 სექტემბერი. თბილისი. დასტამბული. 1 ც, 2 ეგზ.

20. ალოიზ მიზანდარის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტისა და ლევან მიზანდარის დებიუტის პროგრამა.

პირი: ირაკლი ჭიაურელი, თამარ ლიჩელი, ლევან ძამუკაშვილი, ია ხარტონიშვილი, გივი მიზანდარი, მზია მელიქსეთ-ბეგი-მიზანდარი, 2009 წ. 13 მარტი. თბილისი. დასტამბული. 1 ც.

21. ალოიზ მიზანდარის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტისა და ლევან მიზანდარის დებიუტის მონაცემო ზომის აფიშა.

პირი: ირაკლი ჭიაურელი, თამარ ლიჩელი, ლევან ძამუკაშვილი, ია ხარტონიშვილი, გივი მიზანდარი, მზია მელიქსეთ-ბეგი-მიზანდარი, 2009 წ. 13 მარტი, თბილისი, ნაბეჟდი, ასლი, 1ც.

#### ალოიზ მიზანდარის გარდაცვალების მოწმობა

22. ამონაწერი თბილისის ღვთისმშობლის მიძინების რომაულ-კათოლიკური სამრევლო ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერიდან, ალოიზ იოსების ძე მიზანდარის გარდაცვალების შესახებ.

პირი: მღვდელი ამირხანოვი, მღვდელი ლ. გოდალოვი. 1912 წ. 21 აგვისტო. თბილისი. კუკია. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

#### სხვადასხვა

23. მუსიკალური ტერმინოლოგია - (მოგვიანებით ჩასმულია მაგარ ყდაში, დატანილია: „ვ. ფ. მიზანდარი“; და ავტოგრაფი, [1917 წ].

1891 წ. მოსკოვი. გამომცემლობა „იურგენსონი“. 134 გვ.

24. აზნაურობის დამადასტურებელი მოწმობა გაცემული თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მიერ ლეონ-ფრანც-იოსებ ვალერიანის ძე მიზანდარისადმი. (ალოიზ მიზანდარის ძმის შვილი).

1904 წ. 4 აგვისტო, თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. დამოწმებულია თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს ბეჟდით. 1 გვ.

25. სახელმწიფო თეატრის პროგრამა.

პირი: ვ. ფოცხვერაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ვ. მიზანდარი, ზ. ფალიაშვილი. 1920 წ. 27 ივნისი. თბილისი. ნაბეჟდი. 1 ც.

26. გარნიზონის უფროსის განცხადება კულტურის განყოფილებისადმი, მუსიკალური ინსტრუმენტების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

პირი: მიზანდარი, რუხაძე, ქურიძე, ჩიკვილაძე, ილ. აბაშიძის დადებითი რეზოლუციით.. 1921 წ. 11 მაისი. თბილისი. ნაბეჟდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

27. ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენის“ პროგრამა, დამდგმელი დირიჟორი ვ. ფ. მიზანდარი.  
[1923-24 წ]. თბილისი. ნაბეჭდი აბრეშუმზე, 1 ც.
28. ქართველ ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის განცხადება სახელოვნო კომიტეტისადმი, ხარლამპ სავანელის ქვრივისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ.  
პირი: კ. მაყაშვილი, პ. კეშელავა,  
1922 წ. თბილისი, ნაბეჭდი, ხელს აწერს კლდიაშვილი. 1 გვ.
29. ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი - „ტფილისი, სამხედრო პოლკა“ (გაორკეტრებული სასულე ორკეტრისთვის).  
უთარილო. პარტიტურა. ავტოგრაფი. ფრანგულ ენაზე, 4 გვ.

**ფოტოები ალოიზ მიზანდარის შესახებ  
(ინახება ფოტო-ფონდში)**

30. სტეფანე სტეფანეს ძე მიზანდარის პორტრეტი.  
1846 წ. ზეთი. თბილისი. შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.
31. იოსებ სტეფანეს ძე მიზანდარი  
[1855-78 წწ], ასლი.
32. ალოიზ მიზანდარი  
1863 წ. პეტერბურგი. ასლი.
33. ალოიზ მიზანდარი  
[1880 წ] თბილისი. ასლი.
34. ალოიზის ძმა ფელიქს იოსების ძე მიზანდარი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად.  
[1890 წ]. თბილისი.
35. სახლი, რომელშიც დაიბადა ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი  
[1900 წ]. ქუთაისი. ასლი.
36. ალოიზ მიზანდარი მოსწავლეებთან ერთად, მარჯვნივ ანა თულაშვილი.  
[1900 წ]. თბილისი. ასლი.
37. ალოიზ მიზანდარი  
1902 წ. 9 თებერვალი. თბილისი,.
38. ა. მიზანდარი, ე. პოლტორაცკაია და ნ. ნიკოლაევი.  
1904 წ. თბილისი. ასლი.
39. მეცენატთა წრეში მარცხნიდან მეორე ა. მიზანდარი, მარჯვნიდან მეორე ნ. ნიკოლაევი და კ. ალიხანოვი.  
[1904 წ]. თბილისი. ასლი.
40. სამუსიკო სასწავლებლის დირექცია და პედოგოგები.  
პირი: ცენტრში სხედან: ნ. ნიკოლაევი, ა. მიზანდარი, მარჯვნიდან მეორე - ანა თულაშვილი, მესამე რიგში მარცხნიდან მეორე დგას ზაქარია ფალიაშვილი.

[1904 წ]. თბილისი. ასლი.

**41. ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი**

[1904 წ]. ფოტო. ასლი.

**42. ალოიზ მიზანდარი**

1905 წ. ერმაკოვის ფოტო.

**43. ალოიზ მიზანდარი ნათესავებთან ერთად.**

მარცხნიდან: ალოიზ იოსების ძე მიზანდარი, მარია (მანია) ფრანცის ას. რადინსკაია, ფრანც იპოლიტეს ძე რადინსკი, მარია იოსების ას. მიზანდარი-რადინსკაია, დგას ანა ფრანცის ას. რადინსკაია-ბახარევა, უცნობი პირი, ალაფია (ნატალია) ვარლამის ას. (ფელიქს იოსების ძე მიზანდარის ქვრივი), ლეონარდ ფრანცის ძე რადინსკი. სურათს იღებს (რისი დასტურიცაა მისი გიმნაზიის ქუდი) ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი.

[1910 -1912 წწ]. თბილისი. ასლი.

**44. ალოიზ მიზანდარი**

[1912 წ. თბილისი]. ასლი.

**45. ალოიზ იოსების ძე მიზანდარი, 1904 წელი.**

1912 წ. თბილისი. ფოტო უცნობი წიგნიდან.

**46. ალოიზ მიზანდარი და საზოგადოება**

[1912 წ.]

**47. თბილისის გიმნაზიის ორკესტრი, ზევით, მარჯვნიდან პირველი ვ. ფ. მიზანდარი.**

[1912 წ]. თბილისი. ფოტო, ასლი.

**48. ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი**

[1914 წ]. თბილისი. ფოტო, ასლი.

**49. ალოიზ მიზანდარი საფლავი კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე, ავტორი კარლ სოუჩეკი.**

1916 წ. თბილისი. ასლი.

**50. მარჯვნივ: ვ. ფ. მიზანდარი, მარცხნივ სახალხო გვარდიის ორკესტრის უცნობი წევრი.**

[1918-21 წ]. თბილისი. ასლი.

**51. სამხედრო სასულე ორკესტრი ვ. ფ. მიზანდარის ხელმძღვანელობით (ცენტრში),**

პირი: ქვევით მარჯვნივ პირველ რიგში: ე. მიქელაძე, კ. ივანოვი, გ. ტაროიანი და სხვ.

[1921 წ. თბილისი]. ასლი.

**52. იოსებ შარლემანი - „ა. მიზანდარი და პეტრე ჩაიკოვსკი ბორჯომში მესტვირეს უსმენენ“ (ავტოლითოგრაფია).**

1953 წ. თბილისი, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

**53. ალოიზ მიზანდარის ნეშტის გადმოსვენება კუკიის სასაფლაოდან დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.**

პირი: ვალერიან ლევანის ძე მიზანდარი, ანდრია ლევანის ძე მიზანდარი, ლევან ანდრიას ძე მიზანდარი, დაგმარა სლიანოვა-მიზანდარი, ზინაიდა კოლხიდაშვილი, გულნარა ქავთარაძე, სულხან ნასიძე და სხვ.

1970 წ. 15 მაისი. თბილისი. 3 ფოტო.

54. ალოიზ მიზანდარის სახლი - თბილისი, ბესიკის ქ. (ყოფილი დავიდოვის N2) 2009 წ.
55. ალოიზ მიზანდარის საფლავი დიდუბის პანთეონში - ავტორი ვალერიან მიზანდარი - 1970 წ. თბილისი. ფოტო.
56. ალოიზ მიზანდარის სახელობის N1 სამუსიკო სკოლა 2009 წ. თბილისი. ჩუბინაშვილის ქ.42.
57. მიზანდარების საგვარეულო როიალი (1885 წ. ) თბილისის სახ. კონსერვატორიის მუზეუმში.

### წიგნები

(ინახება ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდში).

58. ნიკოლოზ გიორგაძე - ალოიზ მიზანდარი. 1969 წ. თბილისი. გამომცემლობა „მერანი“. 132 გვ.
59. მარგარიტა ვაჩნაძე - ნარკვევები ქართული საფორტეპიანო მუსიკის ისტორიიდან (მინაწერი რუსულად: დ. სლიანოვა-მიზანდარს ავტორისგან). 1973 წ. თბილისი, გამომცემლობა „ხელოვნება“. 170 გვ.
60. ნანა ქავთარაძე - პირველი სამუსიკო სკოლა და დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებელი 100 წლისაა. 1976 წ. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“. 124 გვ.
61. ივანე ვარლამიშვილი, ლილი ნუცუბიძე - ზაქარია ფალიაშვილი და ქუთაისი (მოგონებები, მამა-შვილ ფელიქს და ვალერიან მიზანდარებზე, ლევან მიზანდარსა და მის ოჯახზე). 1982 წ. ქუთაისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 50 გვ..
62. ლევან მიზანდარი - მონოგრაფია „მიზანდარი“. 2011 წ. 1 ნომბერი. თბილისი. გამომცემლობა „გრიფონი“. 176 გვ.

### მემორიალური ნივთები

(ინახება მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა ფონდში)

63. ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის კამერტონი. 1 ც.
64. ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის სადირიჟორო ჯოხი. 1 ც.
65. საქართველოს ცხენოსანთა გვარდიის სამხრე, 1 ც.
66. მიზანდარების ნაქონი XIX-XX სს. ნოტების საბეჭდი შტამპები. 82 ც.



აფიშები  
(ინახება აფიშების ფონდში)

67. ალოიზ მიზანდარის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტისა და ლევან მიზანდარის დებიუტის - გამოფენის აფიშა.  
პირი: გივი მიზანდარი, მზია მელიქსეთ-ბეგი-მიზანდარი, ვასილ შუხაევი, იოსებ შარლემანი, ედუარდ გიგილაშვილი, ვ. ბედიაშვილი რ. აფხაზავა.  
2009 წ. 13 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ც.

ნოტები

XIX-XX სს. საოპერო და საბალეტო კლავირები, - ვ. ფ. მიზანდარის ბიბლიოთეკიდან მისივე ავტოგრაფებით:  
(ინახება ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდში)

68. ვერდი - „აიდა“  
69. ვერდი - „ტრავიატა“  
70. ვერდი - „რიგოლეტო“  
71. ბიზე - „კარმენი“  
72. ბიზე - „მარგალიტის მაძიებლები“  
73. ჩაიკოვსკი - „ევგენი ონეგინი“  
74. გუნო - „ფაუსტი“ (ბალეტი)  
75. გუნო - „რომეო და ჯულიეტა“  
76. ჰუმპერდინკი - „ჰენსელი და გრეტელი“  
77. ზუპე - „ბოკაჩიო“  
78. ვებერი - ტრიო  
79. გლინკა - „სიცოცხლე მეფისთვის“  
80. ბოიტო - „მეფისტოფელი“  
81. შტრაუსი „ბოშა ქალი“  
82. ოფენბახი - „მომღერალი ჩიტი“  
83. ოფენბახი - „მშვენიერი ელენა“  
84. როსინი - „სეველიელი დალაქი“  
85. მასნე - „ვერთერი“  
86. ჯონსი - „გეიშა“  
87. სენ-სანსი - „სამსონი და დალილა“  
88. ბოროდინი - „თავადი იგორი“  
89. ობერი - „ფრა დიავოლო“

აუდიო და ვიდეო მასალა  
(ინახება მუსიკის ფონდში)

90. სახალსო გვარდიის სასულე ორკესტრის მცირე ნაწილის ვიდეო კადრები.  
[1918-1921წ]. თბილისი. 1 CD
91. ალოიზ მიზანდარის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი და ლევან მიზანდარის დებიუტი.  
2009 წ. 13 მაისი. თბილისი. ეროვნული მუსიკალური ცენტრი. ვიდეო ჩანაწერი. 1 DVD.

- 92.** ნინო ხოფერია - სატელევიზიო ესე „მიზანდარები დაბრუნდნენ“. საპატრიარქოს ტელევიზია, რუბრიკა „დროის ჩანაწერები“  
2010 წ. ნოემბერი. 1 DVD.
- 93.** მიზანდარების მოღვაწეობის ამსახველი (ვიდეო, აუდიო, ფოტო, სანოტო) მასალა. 1 DVD

**დაამუშავა ლევან მიზანდარმა**